

მუკმუნს სავლს

სსსპ ღვთაქონი
ბითრბი პეპელოძე



ბიორბი კეკელიძე

მურმანის სევლა

სხვა ლექსები

წიგნის ელექტრონული ვერსია მოამზადა
საიტმა: www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მსგავს არს სანუთოდ ესე კაცსა, რომელსა სდევდა პილოდ ამრიზებული, და მიაწყუდია იგი ჯურღმულსა საშინელსა. და იხილნა ხენი, რომელსა ზედა აღჴდა. და იხილნა კუალად ორნი თაგუნი: ერთი შავი და ერთი თეთრი, რომელნი სჭრიდეს ძირთა მათ ხეთასა, რომელთა ზედა აღსრულ იყო კაცი. და შთახედნა ჯურღმულსა და იხილა ვეშაპი, რომელსა აღემტკმო პირი და ეგულებოდა შთანთქმად მისი. და აღიხილნა ზე და იხილა თაფლი მცირე, რომელი ჩამოსდიოდა ხეთა მათ, და იწყო ლოკად მისი. და არღარა მოიქსენა განსაცდელი, რომელსა შთავრდომად იყო. ხოლო თაგუთა მათ ხენი იგი წარსჭრნეს, და კაცი იგი დაეცა და პილომან აღიტაცა და მიუგდო ვეშაპსა. ან, პილოდ იგი სახე არს სიკუდილისად, რომელი სდევს ძეთა კაცთასა, და ხენი იგი სანუთოდ არს, და თაგუნი იგი დღენი და ღამენია და თაფლი იგი სანუთოდსა ამის სიტკბოებად არს და შეაქცევს კაცსა გემოვნებად სანუთოდსად. და დღენი და ღამენი აღსრულდებიან და სიკუდილი წარიტაცებს და ჯოჯოხეთს ვეშაპი იგი შთანთქამს და ესე არს ცხორებად კაცთად“.

სიბრძნე ბალავარისა

სანამ გათოვდება, ამ სახლში დავიძინებთ. მე და შენ. შეიძლება არც გათოვდეს. არ ვიცი. ეს სახლი ძველია. დროს მხოლოდ გაუგებარი შპალერის ლპობა და კლება ითვლის და გატყობინებს. კედელზე არც საათი კიდია და არაფერი. აქ ზაფხულობით მამაჩემი ამოდის და თხილს არჩევს. თხილი ამ სახლის ეზოში მოდის. ზაფხულის ბოლოს. ახლა გვიანი შემოდგომაა. მღვრიე მზეების დრო. წვიმების. ხველის. ხანაც ქარის. ჩემი და შენი. ჩალის სუნის დრო. უხორცო ცაზე გამეორებული მთვარეების. შორი მეზობლებიდან არყისსუნიანი ხმის მოღწევისა და ძროხების ზანტი ბლავილის დრო. ტალახიანი გზების იშვიათი მანქანის ნაბორბლარით. იქ ჩამდგარი ქრელი წყლის. ჩემი და შენი. კოკა-კოლას გადაჭრილ ბოთლებში ჩატენილი ქათმის სკინტლის. გადმობრუნებული ქვების ქვეშ შეღვიძებული ჭიაცულების. სიარულის მობეზრების დრო. სქელტანიან წიგნებზე თვალის შევლების და მერე კითხვის დაზარების დრო. უცხო ძაღლის ჩამორბენისა და თვალის წამიანი მოშტერების დრო. სანამ გათოვდება, ამ სახლში დავიძინებთ. ახლა არა, ოდესმე. შეიძლება არც დავიძინოთ. არ ვიცი.

0530 1

მიუჩიმიანი ჟანგბადი

„ხოლო სანამ დავიბადებოდი, ყველაფერი აშკარად უკეთესად იყო. ეს მოხდა მაშინ, რომლის მომდევნო წელსაც დიდი თოვლი მოვიდა და პატარა ქალაქში ტროლეიბუსები გაჩერდნენ. ჯერ კიდევ კომუნისტების პერიოდი ეთქმოდა, მაგრამ შუქი მაინც წავიდა. ცოტა როცა გავიზარდე, არც შუქი მახსოვს და არც კომუნისტები. ტროლეიბუსი მუშაობდა. ცალკე ხაზე. რაც დავიბადე, მას მერე ცუდად ვარ. მანამდე აშკარად ყველაფერი უკეთესად იყო. დღეს ჩემი დაბადების დღეა. მე მობილურს გამოვრთავ და დავიმალები“.

ჩანერა მურმან როყვამ საკუთარ დღიურში, რომელსაც უკვე სამი წელია უჩვეულო სიბეჯითით აწარმოებდა და გაიღიმა. მგონი ვმწერლდები. გაიფიქრა პირველად. რამეს ვიყიდი და ვჭამ. გახლდათ მეორე ფიქრი. მესამე ფიქრი — ლიფტი, მალაზია, მეზობელი ქალი ავადმყოფი ძაღლით, რომელსაც სულ იმ დროს ასეირნებდა, როცა მურმანი ქვევით ჩადიოდა. ლიფტი, სახლი. წამოწოლა. მაგრამ მერე იზამს. ასეც არ შია. მურმან როყვას ბინა მამამისის გაუთხოვარმა მამიდამ დაუტოვა. გაუთხოვარი მამიდა შარშან მოკვდა. და მურმანი გადმოვიდა დიღმის ნაქირავებიდან ვაკის მისადგომებში. ბინა ორმოცი წლის ურემონტო იყო, მაგრამ მურმანის მეგობარმა გოგომ თქვა, რომ ასეთი ბინები უფრო ასწორებს და პანკურად მოაწყო. ანუ კედელზე რაღაც წარწერებით, ქალაქლებით. ძველი ტელევიზორი გამოშიგნეს, გადმოატრიალეს და ზურგში იატაკის ჯოხი ჩასცეს. იატაკის ჯოხი აქციეს დროშის

ტარად, ხოლო დროშად აქციეს მაისური, რომელზეც COIL-ის სოლისტი ჯონ ბალანსი გამოესახათ. ეს მაისური ჩამოიტანა ნინიმ. ოთხი ცალი. ბონიდან.

„როგორ გავს სიფათზე გალაკტიონს, — თქვა ერთხელ ნუცამ და პუფისმაგვარ ბალიშზე მოირთხა. „თან იმინნა ეგეც ფანჯრიდან გადახტა ეე და თავი დაიბრიდა“. „ინკარნაციაა ეტყობა, მარა წლებში რომ არ გამოდის — არ გამოდის. ალტერ ეგო მაშინ“. ტელევიზორის შიგნეულობას — აი, რალაც გაუგებარი სქემები რომ არის — ნებო წაუსვეს და კარს მიაკრეს. კარი გახდა არაორდინარული. „სვეტსკობა ყოველთვის მაყუთს კი არ ნიშნავს, სვეტსკობა ნიშნავს გემოვნებას. ირინკას ბარები ხო გინახავს? ძველი ლოგინებისგან არის მაგიდები და ლუსტრებად ჩაინიკები კიდია. მარა რიგშია სასტავი ჩასასხდომად. განა, ირინკას ფული არ აქვს? კაი, რა მოგიგონია. ავთოა მაგისი ნაშა, ეგ ტიპი იმინნა, ხო იცი, ადრე კი გაღლეტილი იყო, მაგრამ...“ მშრალ ხიდზე იყიდეს სტალინის, მადონას და ჩე გევარას ძველი პლაკატები. „ჩე მაგარი როჟაა რა, სამართლიანი და ქალები დღემდე სველდებიან მაგაზე. პირველი ლამბერი ეგ იყო თუ იყო. თან სამართლიანი“, — თქვა ასევე ერთხელ ნუცამ, ოღონდ მაშინ ფეხზე იდგა და რალაც ცეკვისმაგვარს ცდილობდა. ესეც მშრალ ხიდზე ააგდეს — ძველი ფირსაკრავი. 60 ლარად. რუსი კაცი ყიდდა. თავიდან 120 ლარი დააფასა. „ახლა ევროპაში CD მაგრა იძირება, ვინც ნალდი მელომანია, ვინც მუსიკა იცის — სუ ვინილზე ზის“. ეს

მშრალი ხიდი კიდევ, მარტო მშრალი ხიდი კი არ არის. მერე უფრო ფართოდ გრძელდება ახლომახლო ქუჩებზე. მთელი წესრიგია. ძვალში გამჯდარი კანონებით. სარდაფებში საბჭოთა კარადების უღიმილო მზერით. მეორე მსოფლიო ომის დროინდელი მედლებით. მოვაჭრე ცოლ-ქმრებით, იქვე კიტრი-პამიდვრის სალათი რომ დაუჭრიათ ლავაშით და სულგუნით და თან ჭამენ, თან ვერცხლის ლარნაკს გთავაზობენ. ნიკოლოზის დროინდელი ჭალებით, ან იქვე ნიკოლოზ ზაქარიას ძის მიერ დაძველებული ჭალებით, რომლითაც ვინმე ფირმას თუ მოატყუებ. თორემ კლიენტი დიდწილად ნაცნობია. ეს კლიენტი კიდევ სხვაგან ყიდის. „მოდერნია?“, „სუვოროვის ორდენი აქვს? ვარიანტი არაა, აფერისტია ეგა“, „ეს საბჭოთაა, რაის არტ-ნუვო“, „რა შუაშია ამ ობლიგაციებთან არტ-ნუვო? ან აზრზე არ ხარ, ან მე მაბოლებ, ჯიგარ!“ „საბჭოთა თეფშები მინდა, სერპ ი მოლოტით, ოლონდ ორმოც წლამდე“, „ატკრიტკები გაქვს? პირველი რესპუბლიკის?“, „ის სტატუეტკა გაიყიდა, რამაზა ობოლაძემ იყიდა გუშინ, მაგას დაასწრებ შენ?“

იქ ანტონაა ერთი. „სულ მაგარ რალაცებს აძრობს ეგ ანტონა, მაგრამ რანაირი ხმა აქვს, მურმანიკო, არა? მე მგონი გეია, არა? აუ, კაიფობ? პროსტა წარმოგიდგენია მაგის სექსი? აი, პროსტაა?“. ფარდების ნაცვლად მურმანის მამის მამიდის ხალათები გაკიდეს. ნანკა გაგიჟდა, როცა დაინახა. ამას მეც კი ვერ მოვიფიქრებდიო. ნანკა დიზაინერობდა. ნანკას ბაბუის ძმა

რუსეთში ძალიან გამდიდრდა და შესაბამისად, გამდიდრდა ნანკაც. უფრო სწორად, მდიდრადვე იშვა. როგორც ამბობდნენ, ნანკა ცოტა სტრანნი იყო, მეორადებში დარბოდა, რალაც ძველმანებიდან ახლებურ კაბებს კერავდა და მერე facebook-ზე დებდა. საბოლოოდ, ნანკას რუსეთიდან ერიცხებოდა ანგარიშზე თვეში ათი ათასი და ნანკა დადიოდა ბერლინში და ვენაში, მაგრამ ნანკა მაინც სტრანნი იყო. თვითონ ეგრე უსწორდებოდა, რომ ამბობდნენ. ნანკას ჰყავდა ქმარი, რომელსაც ექვსჯერ უღალატა, მაგრამ ნანკა ადრე გათხოვდა. საერთოდ, იმ დროს ეგრე თხოვდებოდნენ. ეგრევე. და მერე გაშორება არ გამოდიოდა, რადგან ერთი დიდი წრე იყო და თავის ტკივილი ისედაც თანდაყოლილი ჰქონდა. ეთო კიდევ ზღვის გოგოა. ნუცას მეორე მეგობარი. ერთხელ ეთომ თქვა: „ყველა ზღვის წყალი მაქვს ნაყლაპი რა, ისინი ხო იყვნენ თერგდალეულები, მასე მე ვარ ზღვადალეული“. ეთოს ონკოლოგებმა ურჩიეს, კანის ამბავში მზეს ცოტა მორიდებოდა და სოლარიუმს მით უფრო. ეთოს ეშინოდა, მაგრამ შიში შეიქმს სიყვარულსა თუ ეს რა შუაშია? სიყვარულმა სძლია შიშს. ასე სჯობს. ეთო ბესოს ცოლია. ბესოს პასპორტში აბესალომი უწერია. ბანკში მუშაობს. მუშაობს რა, საერთოდაც ფილიალის მმართველია. მურმანი საიდან მოხვდა ამ წრეში, არ ვიცი. მგონი ბესომ მოახვედრა. მურმანი ბესოს მოადგილეა. დღეს მურმანის დაბადების დღეა. მურმანი იმალება.

თსპ 2

აბონს მძო

„სიგარეტს არასდროს ვენეოდი. არც ახლა. მაგრამ აგვისტოში, ღამის ოთხზე, ფანჯარას როცა გადავეყუდე და ყურებში სხვა, ქალაქის სიჩუმე მომხვდება, ყურებზე მეზობლის სარეცხის სისხლის უკანასკნელი ნვეთები და საქანელაზე ვილაც გოგო ზის და ნელა აქანებს და იქვე ბიჭი და ენევა, ასე მგონია, მეც ვენევი. არ შეიძლება, ზაფხულის შუალამისას ფანჯარასთან იდგე და არ ენეოდე. არ გამოდის. ადრე, კარგ ამინდებში ეზოში ზენარს დამიგებდნენ და ვწვებოდი. წიგნი უნდა წამეკითხა. ცაზე ღრუბლების მეზობლის ცხვირებზე მიმსგავსება მალე გბეზრდება. წიგნის ყდაზე ჭიანჭველების წვალეცა. ხან ცაში თვითმფრინავის ხმა ისმის. ზუილი. თითქოს ღრუბლების თავის ტკივილის ხმა. ამ დროს ეგ არის, რომ ხმა ერთი მხრიდან ისმის და თვითმფრინავი სხვაგანაა. ძნელია თვალის მოკვრა. გამოცვივდებიან მეზობლები: ტრანტალიოტი, ტრანტალიოტი და რა გასაკვირია, ვერც ეგენი ხედავენ. მე ეს ხმა მგონია ყველაზე მისტიკური აქამდე ყურმოკრულთაგან. მინიშნებების ძნელად მჯერა, თორემ ვიტყვოდი: რალაცის კარნახი, გამოუცნობის. წუხელ შუალამემდე ფანჯარასთან ვიჯექი და ამ ხმაზე ვფიქრობდი. აქ არასდროს გამიგონია, ეტყობა სხვა ხმები ფარავს“.

მურმანი ვერ იძინებდა. წერაც მობეზრდა. სამსახურიც. ნუცა აღარ უყვარს და აღარც იზიდავს. ქუთაისში რომ იყვნენ, იმის მერე ატყობს. ეს კიდევ წელიწადზე მეტია, რაც მოხდა. ქუთაისში ტრადიციული, პირველი

მარტის პოეტური და პროზაული პერფორმანსი გაიმართა. ჩავიდნენ სტუმრებიც ზესტაფონიდან, ნყალტუბოდან და თბილისიდან. ნუცა ადრე ლექსებს წერდა. ვერლიბრებს. იმედისმომცემად. მისი ორი ლექსი „დეპრესიული უთო“ და „ქალაქის მაისი“ ფორუმზე იდო და ბევრს მოსწონდა. მერე დაანება თავი. მაგრამ სამეგობრო ხომ შემორჩა და ისინი ინვევდნენ. მურმანიც გაჰყვა. „სანამ ეს დღეები გადაივლის, სანამ შტეფსელი, რომელსაც ვუყურებ, შენს თვალებს მახსენებს, შენს არაფრისმთქმელ თვალებს. ეს დღეები კი ისე გადის, მგონია, ქარი იყო და ვერ შევამჩნიე. ქარი, რომელიც ანტენებში გაიხლართა შენი თმებივით“, — თქვა დაბალმა და ტაში არ გინდათო, ხელით ანიშნა. პერფორმანსის დასრულების შემდეგ რესტორანში დალიეს. ნუცამ დალია. მურმანმაც. მერე აივანზე გავიდნენ. აივნიდან მთელი ქუთაისი მოჩანდა, მურმანმა ნუცას გახედა და უცებ მიხვდა, რომ საერთოდ აღარ უყვარდა. ასე განსაჯეთ, რამდენიმე წამით უცხოდაც კი მოეჩვენა. ნუ, ეს რამდენიმე წამით, მაგრამ ეგეც ავი საქმეა. არ უთქვამს. დღემდე. ცხადია, მურმანმა ქუთაისური შეგრძნება რამდენჯერმე გადაამონმა საკუთარ თავთან. ვერ იყო სასიკეთო პროგნოზი. ბოლოს საქმე ისე გართულდა, სექსის დროს სულაც სხვა ქალს წარმოიდგენდა, თორემ ველარაფერს ახერხებდა. ვთქვათ გამხელით — ცხადია, ეს უკვე კედელია, მაგრამ მურმანს ეშინოდა სხვა ოთახში გასვლის. ამიტომაც ნუცა დღეგამოშვებით იმავე ოთახში ამო-

დიოდა და დანარჩენი — როგორც მანამდე დანერგულ სცენარს სურდა. ნუცას მამა არ მუშაობდა და ფული ჰქონდა. რომ მუშაობ და ფული არ გაქვს, ეს უფრო ჩვენებური ამბავია და წინა წინადადება ძნელად გაგაკვირვებთ, მაგრამ მაინც დავწერე. ჭავჭავაძეზე და პეკინზე ორი ფართი გააქირავა, რაც რომ ადრე, როგორც სამეზობლო ლეგენდა გვამცნობდა, კაპიკებად ჰქონდა ნაყიდი. არსებობდა მეორე, ცოტა მიჩქმალული მითი: აქ კაპიკებიც არ ჩარეულა და თავზე წაკრული რალაც სამხედრო ნაჭრის და ავტომატის საქმე გახლავთო, მაგრამ ახლა ნუცას „უუკი“ ჰყავდა და ყველაზე ნაკლებად ეს ამბები ახსოვდა. ნუცასთვის რომ გეკითხათ, მურმანი უყვარდა. ნუცას რომ ეკითხა საკუთარი თავისთვის, მურმანს უყვარდა და თვითონ პროსტა რალაც პონტში შეეჩვია. ნუცა, საერთოდ, ზოდიაქოების და ჯადოების გოგო იყო. ჩანთას, დღეში ორჯერ ამონებდა. განსაკუთრებით პომადას. თუ წითელს თეთრი ფერი შეეპარებოდა, ურნაში აგდებდა. თუ რალაც ეტლი სადღაც ვარსკვლავების ეზოში შევიდოდა, მანქანას საკუთარ ეზოში ტოვებდა და ტაქსით დადიოდა. თუ მისი ასტროლოგიური ქვა იმ ვინმე ბიჭის ხასიათის საწინააღმდეგოს კარნახობდა, მისი გულიც ქვად იქცეოდა და გრდემლი ტყვიისა ლბილისა და ენა ტკბილად მოუბარი აღარ გამოდიოდა. მიუხედავად გულქვაობისა, მისი ქვა მაინც ყველაზე COOL ქვა იყო. როგორც ნაცნობი ასტროლოგი გივი ცენტერაძე ამცნობდა, ეს ქვა ნუცას საკუთარი ნაკლოვანე-

ბების ოსტატურად დაფარვაში ეხმარებოდა. ნუცას ცოტა დიდი ყურები ჰქონდა, ოპერაციის ეშინოდა და ბატონმა გვიმ უთხრა, თმა ჩამოინიეო. ნუცა საღამოობით ფრჩხილებს არ იკეთებდა და, მით უფრო, არ იჭრიდა. სულ დილით ეწერებოდა სალონში, რადგან მზის გადასვლისას ფრჩხილები ეშმაკებს მიჰქონდათ. ერთხელ მოეჩვენა, რომ ბავშვობის სურათზე რალაც ნიშნები დაესვათ და ყველა სხვა დანარჩენი სურათი დანვა. მათ შორის, წინაპრებისაც. ამიტომაც, ციფრული ფოტომატიანის ამბავში, ერთხელ მათთან საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა, გიორგი კეკელიძემ, რომ დარეკა, აღარაფერი ჰქონდათ. ბებიამისი, ნუნუკა სარჯველაძე შრომის გმირი იყო და ბიბლიოთეკას ქალბატონის ფოტოების გაციფრება აინტერესებდა. „საიდან რეკავთ? ფოტოები დაგვენვა ჩვენ. ჰოო... კაი, პაკა“. „მოცლიათ რა ამ ენჯეოებს“, — გაიფიქრა ნუცამ. „რა ვიცი გოგო, რალაც ფოტოები გვინდაო, ვილაც კიკნაძე იყო არქივიდან, და ეგენი ხო იცი, მე მივანვი იმ პონტში“, — უთხრა ლილის და მკითხაობა გააგრძელეს. ეს ისეთი მკითხაობაა, რომელსაც თვითონ ჩამტარებელთა მიერ მაღალი რანგი არ აქვს მინიჭებული და თუ ცუდი ამბები ამოვა, საკუთარ დილეტანტიზმს და „მაინც წიგნიდან მთლად ნაღდი არაა“-ს მიაწერენ.

არის ამგვარი ხერხი მარჩიელობისა, იძინი. ჩინური ცოდნის ნახერხი. თბილისში სულაც 1990 წელს გამოიცა, თუმცა ნუცას ჰქონდა. ცოტა შელახული. ეგ არაფერი — მისტიკური ელფერისთვის ნასეტყვარ მანდა-

რინისფერი გარეკანი დიახაც მისწრებაა. ჰოდა, მანდ იყო რაღაც ნერტილების თვლა ბუტბუტით და მერე ანმყოს და მომავლის გამოცნობა. მურმანს უყვარდა ეს პროცესი — არა იმდენად ცნობისმოყვარეობის და საკუთარი სვე-ილბლის შეცნობის გამო. ნუცა ბუტბუტებდა და მურმანი დუნდებოდა. სადღაც სიფხიზლის კიდესთან იდგა და ქანაობდა — გაუგებარი სიტყვების ჯადოსნური სული თხელი თითებით ეხებოდა კეფაზე და კეფა ხომ მურმანის გარდაუვალი მარცხია. „არ არსებობს ქალის დაჟინებულ, საქმიან ბუტბუტზე უფრო მაგარი კაიფი, თუ სიჩუმეა და გაშტერებით ზიხარ. ეგეთი შეიძლება იყოს სიმინდის რჩევის ყურება მთვარიან ღამით, ძველი კაჩალკიდან. ორივე კეფას ურტყამს“, — ჩანერა დილით დღიურში და სამსახურში ნაკვიდა.

თსპ 3

ხედიანის დათესვა

: www.PDF.ChiaturaINFO.GE

მურმანი დააკვირდა და დაასკვნა: სამყაროს ბოლო ეპოქისეული გიგანტურ შეცდომათაგანი ის იყო, რომ ბესო ფილიალის მმართველი გახლდათ, თვითონ კი მოადგილე. საერთოდ, მურმანს ბოლო ხანს შური შეუყვარდა. შეიძლება სულ უყვარდა და არ იმჩინებდა. მე მგონია, ასე იყო. შური ჰქვია ამას თუ რა, ზუსტად ვერ გეტყვით. მოკლედ: მხოლოდ საკუთარი წარმატება უხაროდა. მარტო ახლომახლო ამბები კი — არა. აი, მაგალითად, თუ ვინმე ქართველი მუსიკოსი რამეს მოიგებდა საზღვრებს იქით და ამაზე დიდი გნიასი ატყდებოდა მშობლიურ facebook-ზე, მურმანი კომპიუტერს სამი დღე აღარ რთავდა. რაგბისტების გამარჯვებას ხომ საერთოდ ჭკუიდან გადაჰყავდა. ფეხბურთს არა უშავდა, მაინც ვერ იგებდნენ. მოკლედ, ესეთი უცნაური შურები — მისი საქმისგან და ცოდნისგან შორი შურები. უკონკურენციო. მურმანი, საზოგადოდ, კეთილ კაცად იცნობდა საკუთარ თავს, ასეთმა დასკვნებმა ცოტა კი დაამწუხრა, მაგრამ თავს ზევით ძალა აღარ იყო და თუ იყო, ისიც აღმართს ხნავდა. მურმანს აღმართი იზიდავდა, მწვერვალისკენ მიმავალი, მაგრამ წინ ბესოს ზურგი მოჩანდა. ზურგში სროლა შეიძლებოდა, მაგრამ ბატონ აბესალომს მგონი ბრონეჟილეთი აცვია. თავში კიდევ ვერ მოარტყამს. „სად აქვს ბესოს თავი, სირი ეგა. აუ, როგორ დანიშნეს პროსტა. ვინ უჩალიჩა და დარეკა გასაუბრებაზე. სირინოზი. ორ სიტყვას ძლივს აბამს. თან რა ცოლი ყავს. ან ეგ როგორ გაყვა, ამის დედაც.“

აი, რა პონტში, რა პონტში პროსტა? ეგეც არ მყავდეს პრინცი და მეფე. ეთუნა კიდევ რა ვიდზეა. მე რო ვნერ, იცის ეთომ? ეგება მწერალი ბიჭები ევასება და ავარტყა აბესალომას? არა, ისე მაშინ ისეთი მზერა დავიჭირე მაგისი, იმინა ფლირტი-ვზგლიადი. ქალებმა რო იციან რალაც თვალების გამოცვლა ორ ნუთში. რალაც გამოსხივება. მე სარკეში ვჩალიჩობდი და არაფრით არ გამომდის ეგრე. ისე, ერთი მხრივ გაასწორა, ფემინური არ ყოფილა ჩემში არაფერი და გეური. ეს კაია. ეს კაია კი არა, რა პონტში მოხვდა ბესო მმართველის ადგილას? ჩემი სივი მაგისას სადაც გინდა, იქ იხევდა. აი, სადაც გინდა და როგორც“, — ეს მურმანს დღიურში არ ჩაუნერია. დღიურში უფრო მხატვრულად წერდა იმ რწმენით, რომ ოდესმე ვინმე ნაიკითხავდა და ბედის უკულმა ტრიალის გამო დაკარგულ და მერე შემთხვევით აღმოჩენილ დიდ პროზაიკოსად აღიარებდნენ. აი, ეთო ზღვის გოგოა, მაგრამ ხატავს. ხვალ აქვს გამოფენა გალერეა „ლოლა +“-ში. ძალიან ნერვიულობს.

მურმანმა ზუსტად იცის — ეთო ნერვიულობს. ადრე უთხრა თვითონ, ეგ დღე რომ ახლოვდება, გული მისკდებაო და მისთანანი. ხომ არ მისწეროს და გაამხნევოს? ნწუ. არა. შეიძლება ნუცაა ეთოსთან და ახლა წარმოიდგინე ეთოს გაფართოებული თვალები და „აუ, ნუც, პროსტა არ არსებებია. ლადაოოოობს?“ და მერე ნუცა ურეკავს და ნუცას ყველაფერი ესმის, გარდა იმისა, თუ რა საჭირო იყო სიტყვები „ძვირფა-

სო, სიხარულო“. აი, ნუცა საერთოდ რომ არ იყოს — ყვირის ნუცა — ეთო ქმრიანია და მისი ქმარი შენი მეგობარია!

მურმანმა არ მისწერა, მაგრამ გადანყვიტა, რომ ეთო მოსწონს. თანაც ძალიან. და ვნებას და მორალს, მით უფრო რალაც ქცევის კოდექსებს, აგერ მე, ამ მოთხრობის ავტორი, ერთ ხაზზე რომ ვწერ, ეგ არ უხარიათ და მურმანის გულში რა დაამეგობრებდათ. მურმანმაც თქვა. გულში. „ჯერ ერთი, რომ ეთო მე თითქმის მიყვარს და აქ უკვე ქმარი ყავს თუ რაც ყავს, ვერ გავითვალისწინებ. ასეთია ადამიანის ბუნება იქიდან მოყოლებული. მეორეც, ბესო კი ჩემი მეგობარია, მარა თუ მეგობარი იყო, კონკურსში რატო მიპოვდა და მე ჩამწია და თვითონ ახლა ბოსის თვალთ იყურება. ბოსი ბესო. ბოსი ბესო. ამიტომ აქაც სუფთა ვარ. და მესამე — თვითონ ეთოსაც ვევალები. აი, ცვეტში ვიცი. თვალეები არის ყველაზე მნიშვნელოვანი“.

„რა სასაცილოა, — ეს დღიურში ჩანერა, — ხან ადამიანებს რომ ვაკვირდები, უცებ წარმოვიდგენ — ვითომ რალაც ცხოველები არიან, ფიქრის და ოცნებების გარეშე. უბრალოდ, ჩაცმული ცხოველები. განა სასტიკისა და კაცი მხეციას თვალსაზრისით. არა, სხვა ამბავია, მეგობრებო. კინოთვალთ ვაკვირდები. ფილმები ხომ გინახავთ მაიმუნების ცხოვრებაზე, ჯუნგლებში რო დაიარებიან და ირევიან ერთმანეთში, ეგრე შეხედეთ ხალხსაც და ზუსტად ეგ არის. ძალიან,

ძალიან გავს. ვინმე უცხოპლანეტელმა ერთად რომ შემოგვხედოს, ზუსტად ერთნაირი მონყობაა — ფლამინგოების, სირაქლემების, ადამიანების, მაიმუნების. ბევრი როცა არიან ერთად — მაშინ“. სალამოს ნანერს გადახედა, ენყინა, რომ რისი თქმაც უნდოდა, საერთოდ ვერ გამოხატა. წინადადებები ნანვალებს უფრო ჰგავდა. თან ამ ტავტოლოგიებს კი მონდომებით ებრძოდა, თუმცა ამაოდ. გადალება რომ შეეძლოს, უფრო ცხადად იტყოდა. მაგრამ კამერის სწავლას დრო უნდა, ეს ფინანსები და სესხის მოსურნე კლიენტები კიდევ სისხლს წოვენ. აბესალომ-ბესომაც სკამი მიიწეა და თვითონ არავის ხვდება. „მიდი რა, მურმან, ეგებ იპოთეკის გარეშე ხელფასზე უჩალიჩო. ბევრი არ უნდა. ეთოს ნათესავია და ცოტა ჩავარდა“.

— გამარჯობა. ბატონო ნოდარ, თქვენი საცხოვრებელი ადგილი. ფაქტობრივი. და სამუშაო ადგილი. დიახ, ორივე. სხვა ბანკში გერიცხებათ რამე? შეგიძლიათ, კონტრაქტი დამისკანეროთ და ამ ფოსტაზე გამომიგზავნოთ? ინტერნეტი არ გიყვართ? მაშინ ეგებ ამობეჭდილი მომიტანოთ. აა, თქვენი შვილიშვილი გამომიგზავნის? ძალიან კარგი. მე გავივლი ამ საკითხს და პასუხს სამ დღეში შეგატყობინებთ. ისე, გაქვთ რამე სახის უძრავი ქონება? კი, კი, ბატონმა ბესომ მითხრა, მაგრამ ჩვენ მაინც რომ გავითვალისწინოთ მონაცემებში. ცხადია, ისე შევეცდებით. თან თანხა არ არის ბევრი. მე რამდენი წლის ვარ? ოცდათოთხმეტის. კარგი, ბატონო ნოდარ, წარმატებულ დღეს გისურვებთ.

იმ დღეს მანქანით შინ რომ ბრუნდებოდა, შუქნიშანზე გაჩერდა, ვილაც შლეგი გამწარებული უსიგნალებდა უკნიდან, იმ კაცს მიაგინა, მერე შუქნიშანზე მოციმციმე წამებს მიაშტერდა და უცებ მიხვდა, რომ ეთო უყვარდა.

— გაუ. როგორ ხარ?

— რავი, აბაა, ცოტა მეძინაა. შენ, მურო? ბესო არ იღებს? სახლში არ მოსულა ჯერ.

— არა, შენ დაგირეკე. რალაც პატარა საქმე მაქვს. ასე, ტელეფონში ვერ გეტყვი.

— ოკი-დოკი. ისე, მითხარი, სალამოს ამოდით ჩემთან შენ და ნუცა. გოგოებიც აპირებენ. ბესოც იქნება.

— არა, მარტო უნდა გითხრა, ისეთია რა, ლიჩნი.

— ვაჰ, ხან რა სტრანნი ხარ, მურო, რა... მოიცა, ხო მშვიდობაა, ეეე?

— კი, კი, აშკარად მშვიდობაა. მოკლედ, დღეს რვაზე. სადმე მაქვე...

— აუ, სოლარიუმში ვარ შვიდის ნახევარზე ჩანერილი და მერე ფრჩხილებზე და იქ, სალონში ხო იცი, მაგარი ისეთი რიგია...

— დაგელოდები.

— აუ, იცი რა, მოდი, ხვალ სალამოს იყოს, რამე თუ არ ფეთქდება.

— ფეთქდება.

— აუ, ნუ მაშინებ რაა. ბესოს დავურეკო?

— ბესო კაკრაზ არ გინდა, ბესოს ეხება. ბესოს და შენ რა.

- აუ ჩემი, თუ გინდა, გავაუქმებ იმ სოლარიუმს.
- კაი იქნება.
- აუ, აუ, არ ვიცო, გაგიჟდება ნატაშკა. მეორედ ვაუქმებ უკვე.

თავი 4

ხელშეკრულება

— მე ვაფშე მგონია, რომ ეგრე უფრო გიხდება. უმაკიაჟოდ.

— კაი რა, რა მოგიგონია, ქაჯივით გამოვვარდი, მაგარი შემაშინე.

— არა, საშიში არაფერია, პროსტა ამბავია ისეთი, უუტკი.

— ვააჰ, კაცო, მითხარი მერე, გასკდა არტერია, ისე მიცემს კისერთან, აი, ხელი რო დამადო. რო ვნერვიულობ, სულ ასე მაქვს ეს. იმ დღეს საერთოდ გამომებერა.

— მოიცა, ცოტა ვჭამო და აზრზე მოვიდე და მოგიყვები.

— აუ, მუსიკას დაუნით რაა. რაა, თავზე რომ დაგიყენებიათ ეს მუსიკა. გასკდა ყურები... აუ, ვინები არიან ესენი, ვერ ისწავლიან ვერაფერს აქ რა... აი, მურო, ვერასდროს ვერაფერს ვერ ისწავლიან. იმ დღეს...

— აუ, რა საშინელი ამინდებია, არა? სულ ვცვივდები.

— იმუნიტეტი გაქვს შენ დაბალი. გინდა გეტყვი კაი ექიმს?

— არა, არ მინდა.

— აუ, მე აქ პირველად კი არა ვარ, დარლიინგ? ესეთი ყავა გითხარი? შენ ახალი ხარ? აუ, უნდა დავურეკო ახლა მამუკას და გაგყაროთ ყველა, მარა მაინც კეთილი გული მაქვს, ხო ვიცი ჩემი თავის ამბავი... აუ, მე ამას ვერ დავლევ!

— მოკლედ, ეთო, რისი თქმა მინდოდა...

— ჰო...

— მოკლედ, ესეთი ამბავია, აი, დიდხანს დავაკვირ-
დი ამ ამბავს. ისეთი რალაცებიც ვქენი, ადრე რომ არ
წარმომედგინა — მესიჯები გავტეხე და მთელი ისტო-
რია. საბოლოოდ აღმოჩნდა ეგეთი რამე, რომ ბესო და
ნუცა ერთად არიან...

— ნუ გიყვარს რა რალაცების მოთხრა!!

— დედის საფლავს გეფიცები.

— აუ, კაი, რეებს ბოდავ. აუ, გამაცივა ტანში. რა
ბესო და ნუცა. აუ, ლადაობ? კაი რა.

— მე შენზე მაგრა გამიტყდა. გამიტყდა კი არა, ხან
თავის დაბრეღვა მინდოდა, ხან ბესოსი, ხან ნუცასი.
პროსტა ერთი ძმაკაცი. მეორე ცოლის პონტშია თით-
ქმის. თუ არ გავგიჟდებოდი, არ მეგონა. იმ მესიჯებს
რო ვიხსენებ, ყელში რალაც მეჭედება და აი, ცივად რო
გცრის, ხო იცი, ამ დროს, სულ ეგრე ვარ. მხრებიდან
დამივლის დენივით.

— აუ, მურო, მთვრალი ხარ? რეებს ლაპარაკობ?

— მე არ ვსვამ, ეთო. ნეტა ვსვამდე, მკვდარი გება-
ზრები ახლა...

— მოიცა, მოიცა რა... ნუცას უთხარი რამე?

— არა, ამას როგორ ვეტყვი. რო ვუყურებ, მინდა
წამებით ავკუნო და მაცივარში შევდო!

— აუ, შენ ყოჩაღად ხააარ?

— შენ?

თაზი 5

ამაღამიღეღო ღამეო

: www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეთოს მთელი ღამე არ ეძინა. როცა ჩათვლემდა, ეჩვენებოდა, რომ სოლარიუმში ეგდო დაბმული და მეორე ოთახში ბესო და ნუცა შედიოდნენ. რალაც საშინელი ხმები ისმოდა იმ ოთახიდან და ეთოს ეღვიძებოდა. გვერდით ბესო იწვა. როგორც წესი, გადაბრუნებული და ზურგზე აუტანელი სიმშვიდე ეტყობოდა. განსაკუთრებით გარედან შემომავალი ბილბორდის შუქზე ჩანდა საზარლად ეს ზურგი. რაში უნდა დასჭირვებოდა მურმანს ტყუილი, ეთო აზრზე არ იყო. გარეთ იშვიათი მანქანა რომ ჩაივლიდა, შიშისგან ხტებოდა და არა, არა, მართალი ამბავია, მგონი. უკვე რა ხანია სექსი არ ჰქონიათ. ეგ კი არა, თვითონ რომ დაისხამს კოკა-კოლას, ეთოსთვის დასხმა ავიწყდება. იმ დღეს, კატამ რომ ბესოს მობილური ჩამოაგდო და დალენა, ბესომ კატასაც უყვირა და ეთოსაც. ადრე არც ერთისთვის ხმა არ აუმაღლებია. ნუცას კიდევ. აუ, ნუცა. მაგას ხო ტორმუზი არ ჰქონია არასდროს. ერთხელ თქვა, ადამიანი უფრო პოლიგამია, ვიდრე მონოგამიო. ეგ ბოზი იყოს და ეგრე აპრავდებს რალაც ლათინური სიტყვებით, მე რა ვუყო. და ეგ ვაფშე მგონი კალდუნიაა. ან რა წიგნები აქვს სახლში. ბუდას ქანდაკება აქვს ორი ცალი. და იმ წიგნს რა ქვია? „ეძიე ვარსკვლავი შენი“. აუ, რა ვქნა?

ეთო მოსაწევად ადგა. სანამ აივანზე გავიდოდა, სარკე იყო და სარკეში ჩაიხედა. თეთრი პერანგი ეცვა და ლამაზი ფეხები ჰქონდა. „აი, იმენნა, — თქვა ეთომ თითქმის ხმამაღლა, — მე თუ ყველა კაცთან არ და-

ვწვე რა!“ — მაგრამ ეთო ამის ჩამდენი არ იყო. სიგარეტმა კინალამ თითები დაუნვა. ამაზე გაახსენდა, რომ დღეს ფრჩხილებიც ვერ გაიკეთა და „აუუ, ხომ არ გადავხტე ვაფშე?“ მაგრამ ეთოს ტკივილის ეშინოდა. ეზო ცარიელია. რა საშინელია ცარიელი ეზო. ძაღლები მაინც ჩანდნენ, ძველ პურს გადაუყრიდა. ამ პურს კიდევ სულ ტყუილად ყიდულობენ, მაინც არ ჭამენ არასდროს და სულ ობდება. აუ, ნუცა და ბესო?? არა, ლადაობთ?! იქიდან იჩითება პრობლემები, სულ რომ არ ელი. ნუ, ვილაცასთან დანოლილიყო, ჯანდაბას, მასე ერთხელ კიევში რომ წაეთრია, მე რა ვიცი, ვისთან და რასთან ეგდო. მაგრამ ნუცასთან? აი, პროსტარატო?? მონგრეული ფეხები თუ არ ქონდეს, მე მოვკვდე. და ყურები?

— ეთო, რა ხდება? რატო არ წევხარ?

— აა... არაფერი, ბეს. მოწევა მომინდა.

— ადრე ლამით არ ეწეოდი, ცუდია ეგა, მოდი რა, დანეჩი!

— აჰა, მოვალ მალე!

რომ შებრუნდა, ბესო ისევ გადაბრუნებული იწვა და მოეჩვენა, რომ წელან სულაც ზურგმა გამოსძახა — ამ საზარელმა, გაქვავებულმა ზურგმა, ბილბორდის შუქით მკვდრის ზურგივით განათებულმა. კაი სადანე ადგილი კი იყო. გამზადებული. ერთი დარტყმა მოკლავს? რომ არ მოკლას და შემობრუნდეს, მერე რა ქნას ეთომ? სამზარეულოდან კატამ დაიკნავლა. იმაზე უფრო ცინიკურად, ვიდრე საერთოდ კატები კნავიან

ხოლმე. ეთო მიხვდა, რომ თუნდაც ერთი დარტყმით მოკვლის გარანტია ჰქონოდა, ვერ იყო ამის ჩამდენი.

— აუ, ამის დედაც რაააა! — ამოსძახა ეთოს შინაგანმა ხმამ, — აუ, პროსტა რატო, რატო, რატო, რატო, რატო?!

ჭერი ძალიან თეთრია. საავადმყოფოსას უფრო ჰგავს. თუ დიდხანს და გაშტერებით უყურებ, ბოლოს ჩაგეძინება. თუნდაც უკვე თენდებოდეს. თუნდაც იმ დილით გადაგეტანოს სოლარიუმი და ახლაც თუ არ მიხვედი, საერთოდ საეჭვო კლიენტების სიაში შეყავდეთ. თუნდაც ლალატის ამბავი გაგეგოს და გაკანკალებდეს. ძილი მუხთალი რამეა. გარდაუვალი. სიკვდილივით.

05306

ဝိဂ္ဂဟိကံဒုခါ ဝမိ ဗုဒ္ဓိကမ
နိဂ္ဂဟိ ဝိဂ္ဂဟိကံဒုခါ
ဒုဂ္ဂဟိကံ

„თოვლ-ჭყაპი სამარტოდ და ქუხნამდე მისასვლელი გზა — თოვლში აზელილი მინა თუ პირიქით, კალოშების ნაკვალევით, გუშინ ფერქიდან გადაყრილი ნაცრით და ეგეთი შეგრძნებით და აურით, რომ კბილი გტკივდება, თუნდაც ჯანსაღი. და ამ დროს მიდიხარ ქუხნის პადვალში (ასეთი სიტყვები ბრჭყალებში არ ჩაისმის, გარესახლის სარდაფს ხომ არ დავწერ?) ადესის კამპოტის გადმოსატანად, ბანკებს აქვს მტვერი. — მუაშორე მაგი გვანი! — მომეი ჭინჭი და მუაცლი! და მოგაქვს. და კბილმოჟანგებული გასახსნელით ხსნი. და დომინოს შლი. და სვამ. და თოვს. და სვამ. და წვიმს. და სვამ. ამ უცნაურ, საძაგელ სითხეს — ალაგ ტკბილსა და ალაგ მუავეს. მაგრამ მაშინ, იმ წუთისთვის საუკეთესოს. რადგან სამყაროს წესია: თუ მარტია, თუ წვიმს თოვლშეპარვით, თუ ფერქიან, ლილელიუმთან ოთახში ზიხარ, მხოლოდ ადესის კამპოტი უნდა დალიო. აქაური კამპოტები, მალაზიაში რომ იყიდება, მოხუფულთან ახლოსაც ვერ მივა. ეგებ ამასაც მოხუფული ჰქვია, მაგრამ მაინც. მაშინაც ეგეთი ამინდი იყო. ოთხი წლის ვიყავი, ან ხუთის. ყოველ შემთხვევაში, სკოლაში ჯერ არ დავდიოდი. კამპოტი გამოიტანეს. მე და ნუგზარს დიდად არ გვიყვარდა, თუმცა მაინც ვსვამდით. ნუგზარი ჩემი ბიძაშვილია, ჩემზე ერთი წლით პატარა. მოკლედ, გადაიარა ამ კამპოტის სმის რიტუალმა და მონყენის წუთები რომ იწყებოდა, — აბა, სმენა და გაგონება! სიურპრიზიო! — თქვა მამაჩემმა, — ამ ავტომატს ის მიიღებსო —

და მოულოდნელად ახალთახალი, საოცნებო სათამაშო ამოიღო — ვინც ყველაზე მეტ ლექსს იტყვისო. ლექსების მეტი რა ვიცოდი. მოვიგე კონკურსი დიდი წარმატებით. მაგრამ ნუგზარმა ტირილი იცოდა. თან საშინელი ტირილი. იბლავლა და იბლავლა. მამაჩემმა კიდევ თქვა, რომ ნუგზარი პატარაა და მოდი ახლა ნუგზარს დავუთმობთო. მამაჩემი მკაცრი იყო და უარი ვერ ვუთხარი. თუმცა ტირილი მეც შემეძლო და მეც პატარა ვიყავი. ღამით ვიტირე. ლოგინში. ჩუმად. არა მარტო ვიტირე. სიამოვნებით ჩავაგდებდი ნუგზარს იმ დიდ ქვაბში, დაკლულ ღორებს რომ ბენვს აცლიდნენ. მარტო ქვაბში კი არა, ადუღებულ წყალში. რა იქნებოდა მოხარშული ნუგზარი? ავტომატი მინდოდა. ძალიან მინდოდა! აი, ძალიან, ძალიან! უსამართლოდ წართმეული ავტომატი. პირში კამპოტის გემო მქონდა. ოღონდ მხოლოდ მწარე გემო. წართმეული ავტომატის გემო. ავტომატი მინდოდა. ეს ავტომატი ნუგზარს ახლაც სახლში აქვს. იმ დღეს სოფელში ჩავედი და სხვენზე ეგდო სათამაშო მანქანებთან და ჯარისკაცებთან ერთად“.

მურმანის დღიურში სულ პირველად ასეთი ამბავი ეწერა. დაბადების ამბებამდე. ისეთი არაფერი, სხვას რომ არ მოსვლია, მაგრამ მურმანმა სულ პირველად ჩაწერა. საგანგებოდ.

დღეს კიდევ რაღაც უბედური ქარი ამოვარდა.

— ბეს, როგორ ხარ? გუშინ ეთო ვნახე, რაღაც ისე მეჩვენა და ხო მშვიდობაა?

— კი, რა პონტში? გუშინ არაფერი უთქვამს. რამე თქვა?

— არა, არაფერი. ჩემთვის რა პონტში უნდა თქვა. ისე, სახე ჰქონდა რალაც სხვანაირი.

— ჰაჰა, სოლარიუმი გამაზა ეტყობა.

— ხო, რა ვიცის... ისე, მერე, სამსახურის მერე, რალაც მინდა გითხრა.

— მაიცა, ხო მშვიდობაა?

— ნუ, არი რა...

— ახლა მითხარი.

— ახლა ვერა.

— ეეე, ეგრე არ შეიძლება რა, ძმაო. ვერ ვიტან დაზამასკებას. თუ თქმა გინდა, მითხარი, თუ არა, არ დაინყო მაშინ.

— გეტყვი რა, სამსახურის მერე. თუ გინდა, ბილიარდზე გავიდეთ, თუ გინდა — სხვაგან სადმე.

— სადმე ჯობია, ბილიარდი ამოვიდა ყელში, მარა ახლა მითხარი რა.

— მერე ჯობს.

— ეეეე, მითხარი, თორე მოგხსნი!

— რა?!

— კაი, ბიჭო, გეხუმრე, რა პონტში გიტყდება ეს შუტკები, რა ბუტია ხარ. კაი. ექვსზე შევხმიანდეთ.

05307

05307-3030

: www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ადამიანი ბოლო ამბებს ძნელად იმახსოვრებს. ანუ კონკრეტულ, უკანასკნელ შემთხვევებს ცალკე საქმისას. ეგრე მიმავინყდა ბევრი დასაკვირვებელი ამბავი, მათ შორის — ის ლექცია უნივერსიტეტში, რომლის შემდეგაც მე ამ მიზნით იქ აღარ მივსულვარ. შეიძლება, იმიტომაც არ იმახსოვრებ, რომ სულაც არ გგონია ბოლო. შეიძლება, უბრალოდ უფროსი და გონებიდან ირეცხავ. შეიძლება, გახსოვს და არ იმჩნევ. მე პირველი კატეგორიის კაცი ვარ. სიტყვა „უკანასკნელი“ ისე მიუცხობს, მგონია, არაფერი დამთავრდება. არც ის ლექციები მეგონა დამთავრდებოდა, მთელი ექვსი წელი რომ ხან ვაცდენდით, ხანაც გვაცდენდა, ხან კი იატაკზეც ვისხედით ადგილის უქონლობის გამო. რომ ჩავაბარე, შუა ზაფხული იყო, რაღაცით მოვიწამლე და 15 დღის დაგვიანებით მივედი პირველ კურსზე. თბილისში არავის ვიცნობდი, უნივერსიტეტში — მით უფრო. არც ქალაქი ვიცოდი. თუმცა, ნაავადმყოფარისა და გზააბნეულის კვალობაზე, მალე მივაგენი შენობას — უკვე მეორე ლექციაა დაწყებული. ატარებს კაცი, თურმე სტალინის დიდად მოყვარული და ცოტა სმენაგაფანტული. შევედი ოდნავ დაგვიანებით. მრისხანედ შემომხედა და კიდევ უფრო მრისხანედ მკითხა: საიდან ხარო? გურული ვარ-მეთქი. უცებ სახე მოუღება და — აგერ, წინ დაჯექიო. მერე — მარქსიო, ლენინიო და ასე შემდეგ. თან სულ მე მიყურებდა. კი მახსოვდა, რომ საბჭოთა კავშირი დაშლილი იყო, მაგრამ ცოტა მაინც შევშინდი. თან ვფიქრობდი,

მონამვლის ბრალი ხომ არ არის-მეთქი. თან მე რომ მიყურებდა, ესეც ვერ გამერკვია, რამე წესი იყო ახალ-შემოსულებისთვის თუ... მოკლედ, დაასრულა ლექცია და — შენ დარჩიო. დავრჩი. მოვიდა. ყავისფერი, ტყავაქერცლილი ჩანთიდან თავისი წიგნი დააძრო და მითხრა: შენო, გორელ კაცსო, ეს უნდა გქონდესო. ამბავი სტალინის ეკონომიკურ რეფორმებს ეხებოდა. მე, რა თქმა უნდა, გორელად დავიტოვე თავი — სემესტრის ბოლოს 5+-ით მივიღე. მოკლედ, გილოცავთ, მეგობრებო, განსაკუთრებით — ჩემო კურსელებო, თსუ ძალიან კარგი იყო, რამდენიმე შესანიშნავი ლექტორით, პალეოგრაფიის გადანერილი კოლოკვიუმებით, ზოოპარკში სახიფათო გადაძრომებით, ჯიბეში ლარიანით, ამ ლარიანის, წინ რომ ზოოპარკში გადაძრომაზე სახიფათო კაფე იყო, იქ მიფშვნით და ეზოთი, სიყვარულებით და აბესალომით. ბესოთი. ბესო იქ გავიცანი, ჯერ ჩემი ჯგუფელი იყო, მაგრამ მერე სხვაგან გადავიდა. ორივე მილანის „ინტერს“ ვბალეშჩიკობდით. მაშინ რონალდოს ერა იყო. იმ ნამდვილი რონალდოსი. ჰოდა, ამან უფრო დაგვაძმაკაცა“.

— აუ, რა გითხრა, სამი დღეა შოკში ვარ ტო, ვწრიალებ და ვერ გადავწყვიტე, მეთქვა თუ არა. მარა ისეთი ჟუტკი ამბავია, პროსტა სხვანაირად არ გამოდის.

— შავი ლუდი კიდევ არ გაქვთ ხო? მოიცა, ვერ მოგაქციე ყურადღება. რა ამბავი? ჩვენ გვეხება?

— კი, აბა სადამ ჰუსეინის ამბავზე ხო არ დავიძაბები.

- და რა ხდება?
- ბიჭო, აი იმინნა შოკში ვარ...
- ვაჰ, ე ბიჭო, თქვი...
- ნუცა და ეთო...
- რა ნუცა და ეთო?
- აი, პროსტა როგორ ვთქვა, არ ვიცი. იმ დღეს შე-
ვუსწარი.
- რას შეუსწარი?
- ეთოს და ნუცას. ლესბოს.
- კაიფში ხარ?
- კაი, რა მეკაიფება!
- რა ნუცას და ეთოს ლესბოს?
- ნუცას და ეთოს ლესბოს.
- მაგარი სასაცილოა.
- დედის საფლავს გეფიცები. შენ მაინც ხო იცი,
რომ ამას ტყუილად არ ვიფიცებ. ან რა ინტერესი უნდა
მქონდეს.
- ხო, მარა, მე ეგ ვაფშე არ მიტყდება. მთავარია,
კაცთან არ მილაღატოს. მაგაზე დავბრიდავ.
- აუ, არ ვიცი, გითხრა თუ არა...
- რა უნდა მითხრა, შე ჩემა, კიდევ რაღაც მოხდა,
ერთმანეთი დააფეხმძიმეს?
- ნნუ, უარესი.
- ე, ბიჭო, რა იცი ეს ნანყვეტ-ნანყვეტ ბაზარი!
- რო შევედი, არ მელოდნენ. ჩვენ ხო ქიათურის
ოფისის გახსნაზე უნდა ვყოფილიყავით და შენ ნახ-
ვედი მარტო. ჰოდა, რო შევედი სახლში, განა იმინნა

სექსს შევუსწარი. პროსტა პირსახოცმობვეულები იყვნენ და მე თვითონ არც დავუშვებდი, თვითონ სიცილი დაინყეს. რა არის-მეთქი და წელან ლესბო გვექონდაო. მეთქი, კარგი რა, თქვენ ელადავეთ... და მოიცაო, თუ გინდა, შენც შემოგვიერთდით. მეთქი, ბიჭო... და აი, უძმესი რო არ იყო, ამას ხო არ გეტყოდით. ვერც გეტყოდით. ეთო წამოვიდა ჩემკენ.

— რეებს ბოდავ, ბიჭო?!

— ნუ, აი, ხო გითხარი... მე ეგრევე ავდექი და წამოვედი. მერე ნუცამ მომწერა, ჩვენ წავედითო და გასაღები დავტოვეო. მე ვიფიქრე, ბესოს ვეტყვი ახლავე ან სიზმარში ხო არ ვარ, ან ხო არ გავგიჟდი ან რამე. ორი დღე გაბრუებული დავდიოდი და გუშინ ნუცა ვნახე და ნუცა მეუბნება, მერე რა მოხდაო. მეთქი, რა რა მოხდა. რა და პოლიგამები ვართ და საზოგადოების წამდვილი მონყობა ესააო. ადრე ეგრე იყო და ახლა კულტურამ შეგვზღუდაო და ეგეთი ბაზარი. მოკლედ, მეთქი, გოგო, რას ჩხავი და ის ადგა და წავიდა. შენ კი არა, მე დავბრიდავ ყველას... ხო შეიძლება, სხვა კაცებიც მოჰყავდეთ ამ ორგანებში და ამას რო წარმოვიდგენ, მაკანკალებს.

ბესო სახლში გვიან მივიდა. ეთოს ძილის წამლები დაეღია და ეძინა. სახეზე ბილბორდის შუქი სცემდა. ბესო ეთოს თავთან ჩამოჯდა. რაში უნდა დასჭირვებოდა მურმანს ტყუილი, აბესალომი აზრზე არ იყო. გარეთ იშვიათი მანქანა რომ ჩაივლიდა, ბესო შეშინებული იყურებოდა უკან და არა, არა, მართალი ამბა-

ვია. უკვე რა ხანია, სექსი არ ჰქონიათ. ეგ კი არა, თვითონ რომ დაისხამს კოკა-კოლას, ეთოსთვის დასხმა ავინწყდება, ეთო ეუბნება გულგრილი გახდიო, არადა, თვითონ ეთოს ათჯერ დაავინწყდა მისი შარვლის დაუთოება. ახლა, დანა რომ აილოს და მარცხენა ძუძუსთან ჩასცეს, ხომ არი ღირსი ეს ძუკნა. ბესოს ხელები უცახცახებდა. ტანსაცმლით დანვა.

ჭერი ძალიან თეთრია. საავადმყოფოსას უფრო ჰგავს. თუ დიდხანს და გაშტერებით უყურებ, ბოლოს ჩაგეძინება. თუნდაც უკვე თენდებოდეს. თუნდაც იმ დილით გქონდეს მნიშვნელოვან კლიენტთან შეხვედრა გადატანილი და ახლაც თუ არ ნახე, შეიძლება, საერთოდ სხვა ბანკში გადაიტანოს ანგარიშები. თუნდაც ლალატის ამბავი გაიგო და გაკანკალებდეს. ძილი მუხთალი რამეა. გარდაუვალი. სიკვდილივით.

၀၂၃၀၈

ကံကံဝိဝိဝိဝိဝိဝိဝိ
ဝိဝိဝိဝိဝိဝိဝိ
ဝိဝိဝိဝိဝိဝိဝိ

„მე მგონია, რომ სიყვარული არ არსებობს. რა თქმა უნდა, ეს უფრო მაშინ მგონია ხოლმე, როცა აღარ მიყვარს, მაგრამ ვფიქრობ, მაგ დროს გაცილებით მშვიდად ხარ და ზუსტ დასკვნებს აკეთებ. შესაბამისად, ეს საკითხი იქით გადავნიოთ. მაგრამ რა ეშველება ამბავს, რომ ელზას ნუგზარი მხოლოდ იმიტომ შეუყვარდა, რომ ნუგზარს ის ჩემი სათამაშო ავტომატი ჰქონდა. დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ამის გამო მოხდა ასე. მე რომ მქონოდა, მე შევუყვარდებოდი. დარწმუნებული ვარ. ამ ჩანაწერებს თუ წაიკითხავთ, რომელსაც დღიური დავარქვი, ალბათ იტყვით, ამ კაცს რა მაგრად გაურეკავსო. ან რა ხელოვნურ დრამებს დგამსო. სად გაგონილა საბავშვო ბაღში ნაღდი სიყვარულიო. არადა, გაგონილა! და საერთოდ, მთავარი ამბები სწორედ საბავშვო ბაღში ხდება. სხვა დანარჩენი გამეორებაა. ან გაგრძელებაა. ან შეცვლის მცდელობა“.

ეს ნაწილი ყველაზე მძაფრი და მაღალმხატვრული ეგონა მურმანს. რამდენჯერმე გადააკეთა. დახვენა.

— ეთო და ბესო დავპატიჟოთ, თუ გინდა, ხვალ.

— ხვალ რა ხდება?

— ხვალ არაფერი. რამე უნდა ხდებოდეს?

— შენ ხო არ გევასება ეს ტუსოვკები.

— ნუ, ხანდახან არაფერი უჭირს.

— კაი.

— რა კაი?

— დავპატიჟოთ. შენ ეტყვი?

— შენგან უფრო გაუსწორდებათ.

- შენ ყოველდღე ნახულობ ბესოს და...
- შენგან ჯობს... ხო იცი, არ მევასება ეგეთები.
- ნუ კაი, რა ვიყიდოთ?

* * *

- ბეეს!
- ჰაუ!
- ნუცამ ხვალ აბსენტზე გამოდითო.
- რა პონტში, პრაზდნიკია რამე?
- ისეო.
- რა ისეო?
- ისე ამოდითო.
- ვისი კრეატივია?
- რა კრეატივი?
- ვისი იდეაა რა...
- მურმანასი, კაკ ნი სტრანნო.
- ჰმ!
- რა ჰმ?
- არაფერი. გეტყვი ხვალ დილით რა.

* * *

ეთოს ფიქრი:

„აუ, ერთი პროსტა წამოვიდეს რა. აუ, ღმერთო, გეხვენები. სუ ერთი წუთი მინდა, ნახევარი. როგორ შეხედავს რო დავინახო და მორჩა. ეგრევე მიხვდები ვზგლიადზე. პროსტა რა, რაღაცას მოვიფიქრებ, რო წამოვიდეს“.

ბესოს ფიქრი:

„აუ, ყველას ერთად დავბრიდავ რა. პროსტა ძალა უნდა მოვიკრიბო და ნავიდე. ხო შევხედავ ამ ახვრებს სიფათზე, ეგრევე შეეცყობათ. ან სამივე ახვარია, ან ამ სამიდან ერთი. ამიტომ მგონი, ჯობს რო მივიდე. რამეს ვხევ მისვლამდე და თავიდან მშვიდად ვიქნები. მერე მე ვიცი“...

ნუცას ფიქრი:

„რა აიტეხა ახლა ეს ტუსოვკა, დაბერდა მგონი, თუ რა ჭირს. სად ვეძებო ახლა ნაღდი აბსენტი. მოსაწევი მაინც იყოს. თან ზეგ სექონდ ჰენდში ვარ გასასვლელი, გაყიდის ნაირა იმ კანადურ ნაჭრებს და აუ, კაროჩე რაა... მურმანა რაა“...

* * *

— ბატონო მურმან, როგორ გრძნობთ თავს?

— დიახ...

— ბატონო მურმან, როგორ ხართ-მეთქი?

— სად ვარ?

— ააა, თავი არ წამოსწიოთ.

— რატო? რა ხდება? სად ვარ?!

— ჩვენს ხელში. არაფერი ცუდი აღარ გემუქრებათ. დამშვიდდით.

— რა მომივიდა?

— გაზით მოინამლეთ.

— რა? როდის?

— ნუხელ. დამშვიდდით.

— ბატონო მურმან, როგორ გრძნობთ თავს?

— მე კარგად, მაგრამ არ მეტყვიტ, ბოლო-ბოლო, რაც გკითხეთ გუშინ?

— ბატონო მურმან, ძალიან გვიჭირს, მაგრამ თქვენი სამივე მეგობარი გარდაიცვალა. სამივე გაზით. თქვენ იმან გადაგარჩინათ, რომ გაუონვისას, რომელიც დღემდე არ ვიცით, რამ გამოიწვია, სხვა ოთახში იყავით.

— მოიცა...

— ძალიან ვნუხვარ.

— გამარჯობა. როგორ ხართ, ქალბატონო მედეა?

— თქვენ, მურმან? უკვე ფერზე მოხვედით. მალე გაგნერენ.

— დღეს დაკრძალეს, არა?

— კი, კი. უბედურები. მაგრამ ხომ იცით, ცხოვრება გრძელდება.

— ქალბატონო მედეა, მერე მაგის თავი აღარ მექნება, ვერც შევძლებ მოსმენას. ახლა გაბრუებული ვარ და ეგებ ახლა მითხრათ, ზუსტად რა და როგორ?

— ზუსტად არ ვიცი, მურმან, მე ვინ მეტყვის. ეგ ვიცი, რომ როცა პოლიცია გამოიძახეს და შევარდნენ, ტახტზე აქეთ-იქით გოგოები იწვნენ და შუაში ის ბიჭი. სამივე გარდაცვლილი უკვე. შენ გასასვლელთან იყავი ნაქცეული და ამით გადარჩი, დერეფანში. ყველაფე-

რი ღვთის ნებაა, მურმან. ყველაფერი. ანი ძალა უნდა მოიკრიბო და ახალი ცხოვრება დაიწყოს.

* * *

სანამ გათოვდება, ამ სახლში დავიძინებთ. მე და შენ. შეიძლება არც გათოვდეს. არ ვიცი. ეს სახლი ძველია. დროს მხოლოდ გაუგებარი შპალერის ლპობა და კლება ითვლის და გატყობინებს. კედელზე არც საათი კიდია და არაფერი. აქ ზაფხულობით მამაჩემი ამოდის და თხილს არჩევს. თხილი ამ სახლის ეზოში მოდის. ზაფხულის ბოლოს. ახლა გვიანი შემოდგომაა. მღვრიე მზეების დრო. ნვიმების. ხველის. ხანაც ქარის. ჩემი და შენი. ჩალის სუნის დრო. უხორცო ცაზე გამეორებული მთვარეების. შორი მეზობლებიდან არყისსუნიანი ხმის მოღწევის და ძროხების ზარმაცი ბლავილის დრო. ტალახიანი გზების იშვიათი მანქანის ნაბორბლარით. იქ ჩამდგარი ქრელი წყლის. ჩემი და შენი. კოკა-კოლას გადაჭრილ ბოთლებში ჩატენილი ქათმის სკინტლის. გადმობრუნებული ქვების ქვეშ შეღვიძებული ჭიაცულებების. სიარულის მობეზრების დრო. სქელტანიან წიგნებზე თვალის შევლების და მერე კითხვის დაზარების დრო. უცხო ძაღლის ჩამორბენის და თვალის ნამიანი მოშტერების დრო. სანამ გათოვდება, ამ სახლში დავიძინებთ. ახლა არა, ოდესმე. შეიძლება არც დავიძინოთ. არ ვიცი. მთავარია, ვიპოვო. ვეტყვი ნუგზარის მამას და მოვაძებნინებ. ვეტყვი, რომ რაღაც დეკორაციისთვის მჭირდება. ჰოდა, სანამ გათოვდება, ამ

სახლში დავიძინებთ, მე და ის ავტომატი. ის სათამაშო ავტომატი. ეს ოცდარვა წლის წინ უნდა მომხდარიყო. მე ხომ ყველა ახალი სათამაშო ლოგინში მიმქონდა და საერთოდ, თვეობით ხელს ძნელად ვუშვებდი. ჰოდა, ერთად დავიძინებთ. მე და შენ. სანამ გათოვდება. სანამ ეზო თეთრი გახდება და ეზოში ადამიანის გავლა — შესამჩნევი.

სარჩევი

წიგნის ელექტრონული ვერსია მოამზადა
საიტმა: www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 1	
მურმანი ღაიბაღა.....	9
თავი 2	
თბის რქა.....	15
თავი 3	
ფეტვის ღაფესვა.....	23
თავი 4	
ბელუკუღმა.....	31
თავი 5	
ამაღამღელო ღამეო.....	35
თავი 6	
შემობვღა ამ ღროს წინ ეშმაკი ღა ჭკიფბა.....	41
თავი 7	
ფესე-კაფე.....	47
თავი 8	
ორშაბათ შეყრილ მიჯნურნი.....	55